საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 32

02 03 2016 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 1 თებერვლის N225-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 მარტის სხდომის N5 ოქმის მე-16 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 5 თებერვლის N03/658 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 1 თებერვლის N225-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დანართი N1-ის მიხედვით, მარნეულის მუნიციპალიტეტის 12 ერთეული საბავშვო ბაღის შენობა-ნაგებობები, შესაბამისი ინფრასტრუქტურით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადასცეს მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

ვალერი მეტრეველი
მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:

დანართი N1

N	დასახელება	მისამართი	მიწის ფართი	განთავსებული შენობა, რაოდენობა, ფართი	საკადასტრო კოდი
1	საბავშვო ბაღის შენობა	ქ. მარნეული, რუსთაველის N77	3294	N1,2,3,4,5,	83.02.23.161
2	საბავშვო ბაღის შენობა	ქ. მარნეული, ერეკლე 2-ეს ქუჩა	3352	N 1,2,3,4,	83.02.19.074
3	საბავშვო ბაღის შენობა	ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა	11404	N1,2	83.02.18.075
4	საბავშვო ბაღის შენობა	სოფ. შაუმიანი	2403	296	83.10.04.539
5	საბავშვო ბაღის შენობა	სოფ. ყიზილაჯლო	4478	N1,2	83.01.04.622
6	საბავშვო ბაღის შენობა	სოფ. თამარისი	6328	N1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14	83.05.01.417
7	საბავშვო ბაღის შენობა	სოფ. წერეთელი	5406	N1,2,3,4	83.04.08.042
8	საბავშვო ბაღის შენობა	სოფ. ხიხანი	1280	159	83.10.08.025
9	საბავშვო ბაღის შენობა	სოფ. შაუმიანი (ლტოლვილები)	943	N1,2	83.10.09.095
10	საბავშვო ბაღის შენობა	სოფ. კაპანახჩი	2173	110	83.06.13.090
12	საბავშვო ბაღის შენობა	სოფ.შულავერი	716	302	83.09.11.785